წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ფრაქცია ,,წალენჯიხა -საქართველოსთვის“ შენიშვნები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,წალენჯიხა-საქართველოსთვის“ ფრაქციის სხდომაზე განიხილა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და შეიმუშავა შენიშვნები,რომელთა გათვალისწინება მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში მიზანშეწონილად მიაჩნია.

1) მოსახლეობა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით

ა) 40-70 წლამდე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის უზრუნველსაყოფად სკრინინგ ცენტრში (ქ.ზუგდიდში) მინიმუმ თვეში 2- ჯერ ტრანსპორტირების უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტში - 10 000 ლარის გათვალისწინება.

ბ) მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შ.შ.მ სტატუსის მქონე მხედველობა დაკარგული პირების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერისათვის თითოეულ ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარის ოდენობით ბიუჯეტში - 10 000 ლარის გათვალისწინება.

გ) 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციას(რეაბილიტაცია) საყოველთაო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარზე ქ.ზუგდიდამდე ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ფინანსური მხარდაჭერისათვის თითოეულ ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარის ოდენობით ბიუჯეტში - 15 000 ლარის გათვალისწინება.

დ) სსიპ ,,ლაკადა“-ში პროფესიული გადამზადების პროგრამაში მონაწილეობის პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი და იძულებიტ გადაადგილებულ შ.შ.მ პირების ტრანსპორტირების მხარდაჭერის მიზნით თიტოეულ ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარის ოდენობით ბიუჯეტში - 10 000 ლარის გათვალისწინება.

2) მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობისათვის 20 000 ლარის გათვალისწინება.

3) მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია უნდა გადავიდეს ტრანსპორტის მომსახურეობის ახალ წესზე, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გარდა მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მომსახურე ავტომანქანებისა უნდა გადავიდეს საერთო სარგებლობის სისტემაზე და მათი მომსახურება საკრებულოს კომისიებზე, ფრაქციებზე და მერიის სამსახურებზე მოხდეს მათი საჭიროების მიხედვით სამგზავრო ფურცლების საფუძველზე. ფრაქციის აზრით ზემოთ აღნიშნული უფრო ეფექტურს გახდის

მერიისა და საკრებულოს მუშაობას და წელიწადში საწვავის ეკონომიის ხარჯზე მუნიციპალიტეტი დაზოგავს მინიმუმ 100 000 ლარს.

აღნიშნული ეკონომია დამატებით უნდა მიიმართოს საბავშვო ბაღების მატერიალური მდგომარეობისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

4) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების ,,წალენჯიხისა და ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურებისათვის" მათზე დაკისრებული უფლებამოსილებების ხარისხიანად და ეკონომიკურად შესრულების მიზნით ეგრედწოდებული ,,ამწე კალათი"- სა და ექსქევატორის ,, JVC"-ის შესაძენად ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინება.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამები თან ერთვის. (დანართი 4 ფურცელზე).

ფრაქცია ,,წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარე გონერ კვარაცხელია.